



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

18 მაისი 2022 წ.



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: მაკა

გვარი: კარტოზია

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი



დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
------------------------------------	-----------

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	სამართალი
2	უმალესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0421 სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, თბილისი, 0159 ირინა ენუქიძის ქუჩა N3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 3 21 0000291445 (26.03.2021)
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 12 მარტი

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ერთი წელი; 2022 წლის 12 მარტი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 12 მარტი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. საგნები „ექსპერტოლოგია“ და „გამოძიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“ მოდიფიცირებული იქნეს იმგვარად, რომ მათი შედეგები იყოს სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიერ სამაგისტრო პროგრამის მიღწევად შედეგებს;
2. პროგრამაში განსაზღვრულ საგანს „კვლევის მეთოდები“ სილაბუსის შესაბამისად სახელწოდებად განესაზღვროს „კვლევის მეთოდები სამართალში“;
3. „კვლევის მეთოდები სამართალში“ უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ჩამონათვალში და არა თავისუფალ კომპონენტად შეთავაზებული დისციპლინა;
4. საგანი პრობლემური სემინარი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში მასში შევიდეს სამართლის სფეროს განვითარების უახლესი, და პრობლემატური საკითხები. საკითხების ჩამონათვალი კი განსაზღვრულ იქნეს კოლეგიალურად პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ;
5. აუცილებელია სილაბუსების შინაარსი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ თავიდან იყოს აცილებული შინაარსობრივი ნაწილის გადაფარვის საკითხი. მაგ: „ადამიანის უფლებათა პოლიტიკური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. საგანი „საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“ და საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული „საგადასახადო სამართლის“ კურსი. „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ინოვაციები და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“ და საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსი - „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. „საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“;
6. „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სანივთო სამართალი“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დაემატოს უცხოური ლიტერატურა;
7. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
8. სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, წაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად წაიშალოს შეფასების კრიტერიუმები;

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



9. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს დაუბრკოლებლივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მუს ფარგლებს გარეთ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 3 21 0000291445, 26.03.2021, ძალაში შევიდა 12.03.2021) გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით უმაღლესი სასწავლებლის მიერ შემუშავებული იქნა სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების/რჩევების რეალიზების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც შესასრულებელი სამუშაო გადანიშნა შესაბამის სამსახურზე/პერსონალზე და განისაზღვრა შესრულების დრო. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესასრულებლად შექმნილ ჯგუფში მონაწილეობას იღებდნენ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი, იურიდიული კლინიკის წარმომადგენლები, შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელები და სკოლის დეკანატი. უმაღლესი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა/ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა რომ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რჩევები⁸

1. სასურველია სამაგისტრო პროგრამას არჩევითი კურსის სტატუსით დაემატოს შესაბამისი დონის უცხო ენა;
2. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს კვლევის პროცესში სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით;
3. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 11,7%, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მაჩვენებელი 19.2% პროცენტით განისაზღვრება, მიზანშეწონილია პროგრამის ეფექტური, სტაბილური განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნეს მითითებული ფაქტორი და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
4. სასურველია აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით;
5. უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;
6. ბიუჯეტში გამოიკვეთოს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას რჩევების განხილვისა და გათვალისწინების შესახებ, რაც სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

უნივერსიტეტის მიერ არ მომხდარა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹²	საგნები „ექსპერტოლოგია“ და „გამომძიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“ მოდიფიცირებული იქნეს იმგვარად, რომ მათი შედეგები იყოს სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიერ სამაგისტრო პროგრამის მიღწევად შედეგებს
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების „ექსპერტოლოგია“ და „გამომძიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“ შესწავლის შედეგად, დადგინდა რომ აღნიშნული სილაბუსები მოდიფიცირებულია და შესაბამისობაშია სამართლის სამაგისტრო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებთან.</p> <p>კერძოდ, „ექსპერტოლოგიის“ სილაბუსის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტი:</p> <p>აღწერს სასამართლო მეცნიერებების, ექსპერტოლოგიის სფეროში არსებულ მიღწევებს, მეთოდოლოგიურ პრინციპებს, საერთაშორისო გამოცდილებას, განვითარების ტენდენციებს და ამ მიმართებით საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირის პრობლემებს. სახავეს მათი გადაწყვეტის გზებს;</p> <p>აღწერს სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, სადავო დოკუმენტების კრიმინალისტიკური კვლევის სტადიებს და პროცედურებს.</p> <p>უნარი - სტუდენტი:</p> <p>აფასებს კრიმინალისტიკის/ექსპერტოლოგიის</p>

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>სფეროში არსებულ არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს და ფაქტობრივ გარემოებებს, განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;</p> <p>აანალიზებს არსებულ კრიმინალისტიკურ კვლევის ტექნოლოგიებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე;</p> <p>ამოიცნობს კრიმინალისტიკური კვლევის ტექნოლოგიების სფეროში არსებულ აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემებს, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მოიძიებს ინფორმაციას და გეგმავს კვლევით პროცესს შესაბამისი სამეცნიერო დასკვნების განხორციელების მიზნით;</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:</p> <p>პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს და კვლევის ეთიკურ შედეგებს;</p> <p>მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში;</p> <p>შეიმუშავებს მიდგომებს ნაშრომის მოსამზადებლად. ავლენს დარგობრივ სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ინფორმაციის ავტონომიურად მოძიების უნარს.</p> <p>„გამომიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“ სილაბუსის მიხედვით:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტი:</p> <p>აღწერს კრიმინალისტიკის სფეროში არსებულ მიღწევებს და ეროვნულ/საერთაშორისო გამოცდილებას, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, კრიმინალისტიკის ტექტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების თავისებურებებს;</p> <p>აღწერს სამართალდამცავი სისტემების ფუნქციონირების მექანიზმს და ამ მიმართებით</p>
--	---



	<p>საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირის პრობლემებს. შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;</p> <p>აღწერს დანაშაულთან ბრძოლის თანამედროვე მიდგომებს, დანაშაულის გამოძიების სამართლებრივ და ტექნიკური მექანიზმებს და კანონზომიერებებს.</p> <p>უნარი - სტუდენტი:</p> <p>აანალიზებს გამოძიების კრიმინალისტიკური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე.</p> <p>აანალიზებს სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, გამოკვეთავს პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს/პრობლემებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს. განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით მხარეებს;</p> <p>ამოიცნობს გამოძიების კრიმინალისტიკური კვლევის ტექნოლოგიების სფეროში არსებულ აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემებს, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ეროვნული/საერთაშორისო წყაროებიდან მოიძიებს ინფორმაციას, ახდენს მის სისტემატიზაციას და გეგმავს კვლევით პროცესს შესაბამისი სამეცნიერო დასკვნების მიღების მიზნით აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;</p> <p>მსჯელობს გამოძიების კრიმინალისტიკურ სფეროში საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე პროფესიულ და სხვა მიზნობრივ საზოგადოებასთან წერიითი და ზეპირი ფორმით.</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>აღიარებს დემოკრატიულ პრინციპებს, პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს და კვლევის ეთიკურ შედეგებს;</p> <p>იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და სხვების</p>
--	--



	<p>პროფესიულ განვითარებაზე, უზრუნველყოფს შესაბამისი პირობების შექმნას გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად;</p> <p>შეიმუშავებს კვლევით მიდგომებს არგუმენტირებული ესეს მოსამზადებლად, ავლენს დარგობრივ სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ინფორმაციის ავტონომიურად მოძიების უნარს.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ¹³ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 2. სილაბუსი „ექსპერტოლოგია“;</p> <p>დანართი 3. სილაბუსი „გამომძიების კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია“</p>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹⁴	პროგრამაში განსაზღვრულ საგანს „კვლევის მეთოდები“ სილაბუსის შესაბამისად სახელწოდებად განესაზღვროს „კვლევის მეთოდები სამართალში“;
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები“ შეეცვალა სახელწოდება და ამ კურსის სახელწოდებად განისაზღვრა „კვლევის მეთოდები სამართალში“.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ¹⁵ II	N/A

¹³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ი ^ა	დანართი 4. სილაბუსი „კვლევის მეთოდები სამართალში“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹⁶	„კვლევის მეთოდები სამართალში“ უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ჩამონათვალში და არა თავისუფალ კომპონენტად შეთავაზებული დისციპლინა;
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის მატრიცის მიხედვით, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სამართალში“ შეთავაზებულია სავალდებულო დისციპლინად სწავლების I სემესტრში და მინიჭებული აქვს 6 კრედიტი. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁷ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ი ^ა	დანართი 5. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹⁸	საგანი პრობლემური სემინარი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში მასში

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	შევიდეს სამართლის სფეროს განვითარების უახლესი, და პრობლემატური საკითხები. საკითხების ჩამონათვალი კი განსაზღვრულ იქნეს კოლეგიალურად პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის „პრობლემური სემინარი“ სილაბუსის შინაარსის მიხედვით განსახილველი საკითხებია: დანაშაულის კვალიფიკაცია სისხლის სამართალში; ადმინისტრაციული და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა; თანამედროვე სამოქალაქო სამართლის პროცესი. თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; ევროპის კავშირის სამართლის და კონსტიტუციების თანაფარდობის პრობლემები. სასწავლო კურსის შინაარსის განსაზღვრაში და განხორციელებაში კი ჩართული არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 6. სილაბუსი „პრობლემური სემინარი“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁰	აუცილებელია სილაბუსების შინაარსი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ თავიდან იყოს აცილებული შინაარსობრივი ნაწილის გადაფარვის საკითხი. მაგ: „ადამიანის უფლებათა პოლიტიკური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. საგანი

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>„საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“ და საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული „საგადასახადო სამართლის“ კურსი. „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ინოვაციები და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“ და საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსი - „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. „საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“</p>
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების „ადამიანის უფლებათა პოლიტიკური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები“, „საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“, „საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ინოვაციები და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“ სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო კურსების შინაარსში ადგილი არა აქვს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „საგადასახადო სამართალი“, „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ შინაარსის გადაფარვას.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ²¹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 7. სილაბუსი „ადამიანის უფლებათა პოლიტიკური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები“</p> <p>დანართი 8. სილაბუსი „საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“;</p> <p>დანართი 10. სილაბუსი „საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“</p>

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	დანართი. სილაბუსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნოვაციები და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“.
--	--

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²²	„შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი სანივთო სამართალი“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატოს უცხოური ლიტერატურა;
შეფასება	<p>უმალესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის „შედარებითი კერძო სამართალი“ სილაბუსს დამატებული აქვს უცხოური ლიტერატურა, კერძოდ, 1. Ivo Bach. Einführung in die Rechtsvergleichung. Berlin 2021;</p> <p>2. Andreas Binger, Thomas Geiser, Einführung ins Privatrecht. München, 2008;</p> <p>3. R. Zimmermann, Die Europäisierung des Privatrechts und Rechtsvergleichung, Schriftenreihe der Juristischen Gesellschaft zu Berlin, Heft 179, De Gruyter Recht, Berlin, 2006 .</p> <p>სასწავლო კურსის „შედარებითი სანივთო სამართალი“ სილაბუსს დამატებული აქვს შემდეგი უცხოური ლიტერატურა: 1. English, French and German Comparative Law, by Raymond Youngs, Cavendish Publishing Limited, 1998;</p> <p>2. Property Law, by Roger J Smith, third edition, Pearson Education Limited, 1998.</p> <p>სასწავლო კურსის „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სილაბუსს დამატებული აქვს უცხოური ლიტერატურა: 1. Klaus J. Hopt, “Comparative Company</p>

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>Law” Max Planck Institute for Private Law and ECGI, Mittelweg 187D-20148 Hamburg, Law Working Paper N°.77/2006, December 2006;</p> <p>2. Mathias Siems, David Cabrelli, “Comparative Company Law”, Hart, Oxford, London, New York, New Delhi, Sydney. Bloomsbury Publishing Plc, 2018 ;</p> <p>3. E. Norman Veasey, “The Role of the Judiciary in Corporate Law, Corporate Governance and Economic Goals, Company Law Reform in OECD Countries A Comparative Outlook of Current Trends, Stockholm, Sweden, 7-8 December 2000, OECD 2001;</p> <p>4. J. S. Liptrap,” British social enterprise law”, Journal of corporate law studies, 2021, VOL. 21, NO. 2, 595– 630;</p> <p>5. José Angelo Estrella Faria, “Future Directions of Legal Harmonisation and Law Reform : Stormy Seas or Prosperous Voyage ?” , Rev. dr. unif. 2009;</p> <p>6. Boris Kozolchym, “Comparative commercial law and the NL cift methodology for economic development. Arizona Journal of International & Comparative Law Vol. 30, No. 1 2013;</p> <p>7. Zurab Chechelashvili, “Introduction to the Georgian business law” text book, Scholars' Press (2017-07-11)</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ²³ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 11. სილაბუსი „შედარებითი კერძო სამართალი“</p> <p>დანართი 12. სილაბუსი „შედარებითი სანივთო სამართალი“;</p> <p>დანართი 13. სილაბუსი „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“</p>

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია II ²⁴	მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულება იურიდიული კლინიკური განათლების მიღების შესახებ შპს იურიდიული მომსახურების კომპანია „სამართლის სახლთან“, რომლის 2.3 პუნქტის თანახმად, „პრაქტიკული კურსის გავლის მიზნით, განსაზღვრული სემესტრის ფარგლებში, იურიდიული კლინიკა - „სამართლის სახლი“ უზრუნველყოფს 10 სტუდენტის მიღებას; ხოლო ააიპ „ჩემი ადვოკატთან“ გაფორმებული ხელშეკრულების 2.2¹ პუნქტის მიხედვით, სამართლის პრაქტიკული კურსის გავლის მიზნით, განსაზღვრული სემესტრის ფარგლებში, სამართლის სკოლის მიერ შესაბამისი რაოდენობის სტუდენტების წარგზავნის შემთხვევაში, იურიდიული კლინიკა „ჩემი ადვოკატი“, უზრუნველყოფს სულ მცირე 20 მაგისტრანტის და 20 ბაკალავრის მიღებასა და შესაბამისი განათლების/პრაქტიკის მიცემას“.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ²⁵ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 14. ხელშეკრულებები უნივერსიტეტსა და შპს „სამართლის სახლს“ შორის;</p> <p>უნივერსიტეტსა და იურიდიულ კლინიკას ააიპ „ჩემი ადვოკატი“ შორის.</p>

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია II ²⁶	<p>სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, წაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად წაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.</p>
შეფასება	<p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „სტუდენტის სტატუსის და სასწავლო პროცესის რეგლამენტის“ მიხედვით: სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.</p> <p>მაქსიმალური შეფასება, ორივე კომპონენტის ფარგლებში, 100%-ია, აქედან: დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილია 40% (მინიმალური ზღვარი 21%), ხოლო შუალედური შეფასებისა - 60% (მინიმალური ზღვარი - 21%).</p> <p>შეფასება ხორციელდება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებსაც თავისი ხვედრითი წილი აქვთ საერთო შეფასების ფარგლებში.</p> <p>სტუდენტის სწავლის შედეგი, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, შეფასების ცალკეული მეთოდის მიხედვით (ზეპირი პრეზენტაცია, ესე, რეფერატი და სხვ.), ფასდება 100 ქულიანი სისტემით (მინიმალური ზღვართ 51), შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით (მიღებული ქულა მრავლდება პროცენტულ წილზე).</p> <p>შუალედური შეფასების მეთოდების შინაარსს და პროცენტულ წილს განსაზღვრავს კონკრეტული სილაბუსი.</p>

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	უმალესი სასწავლებლის მიერ ანგარიშისთვის წარმოდგენილ ყველა სილაბუსში დეტალურად არის ჩაშლილი სტუდენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.
რჩევა ²⁷ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 15. სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი. მუხლი 40. დანართი 2; 3;4;6;7;8;10; 11;12;13 -სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია II ²⁸	მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს დაუბრკოლებლივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მუს ფარგლებს გარეთ.
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადახდო დავალება N 126-ის მიხედვით, უნივერსიტეტს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ანგარიში გადარიცხული აქვს თანხა 15 მომხმარებლის შესამენად, რაც აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს მისცემს საშუალებას ერთობლივად ისარგებლონ საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდით. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²⁹ II	N/A

²⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 16. ელექტრონული ქვითარი.

თანდართული დოკუმენტაცია³⁰

- რეკომენდაციის შესრულების შესახებ უნივერსიტეტის ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 21 0000291303 (26/03/2021);
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 3 21 0000291445 (26/03/2021)

ექსპერტის ხელმოწერა

³⁰ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა